29 ივნისი, 1908 წ.

ფასი ყველგან 10 კ

იუმორისტ. ჟურნალი

ეშმაკის მათრახი

№ 37

ასეთია შრომის გეგმა „საზოგადო მოღვაწეთა“

და რათ გიკვირთ თუ ქვეყანა ვერავინ ვერ გააკეთა?„

* *
*

მშვენიერი დილა იყო
მომხიბლავი, სანეტარო,
მზე ლაჟვარდში დაცურავდა
კაშკაშებდა მთლათ სამყარო.

ბაღში ვარდი იშლებოდა
ბუჩქნარებ ქვეშ ნაზი ია
და ლამაზათ ბიბინებდა
მთა და ბარი, გულ-მკერდ ღია!

ტოტებ გაშლილ კაკლის ხეზე
იჯდა ჩიტი ტურფა, ჭრელი
და გალობდა უცხო ჰანგზე,
ბანს აძლევდა ტყე და ველი.

მე შორიდან შევყურებდი,
მიტოკავდა ძალზე გული
და თან ასე შევნატროდი,
მის ტკბილი ხმით მოხიბლული:

„ნეტავი შენ, ჩიტუნიავ,
თავისუფლათ დანავარდობ,
ხან აქა ხარ, ხან იქა ხარ,
არას ჯავრობ, არას დარდობ!

დედამიწა ქვეშ გიგია,
თავს გახურავს ცა ლაჟვარდი,
კაშკაშა მზე სხივებს გაფრქვევს,
ყნოსვას გიტკბობს ია-ვარდი!

ბედნიერი არსება ხარ,
ლაღათ ცხოვრობ მთათ და ბარად,
ვერვინ გჩაგრავს, ვერვინ გტანჯავს,
ნეტარობ და სტკბები მარად!..

მაგრამ უცბათ მომაგონდა,
რომ მასაც ყავს მჩაგვრელ-მტერი:
ქორ-მიმინო-არწივ-ორბი
და ბევრი სხვაც სისხლის მსმელი.

და ამევსო სევდით გული,
მომემატა წყლულზე წყლული
ვთქვი: „ცხოვრება უკუღმართი
ჩაგვრაზეა აგებული!“

ვ. ჩახრუხაძე.

ეშმაკის მოგზაურობიდან.

ოზურგეთში.

ბათუმიდან ნატანებამდე მწარე ფიქრში იყო ეშმაკი. „ვინახულო ოზურგეთი, თუ გზა აუქციოვო“ ფიქრობდა ის და კითხვა თურმე სხვა გვარათ უნდა დასმულიყო. სახელდობრ: ივარგებდა მისი ნახვა ოზურგეთში თუ არა. რადგან ცხოვრება მუდამ თავისი გზით დადის, ამიტომ საქმე ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო და ერთი დანჯღრეული ეტლით და ერთი „მთვრალი ანგელოზის“ თანხლებით კვირა დილას ეშმაკი ნატანებიდან ოზურგეთისკენ გაემგზავრა.

გზაზე სულის დამატკბობელი ჯოჯოხეთური სიცხე იდგა და ეშმაკიც განსაკუთრებულ სიამოვნებას გრძნობდა. სამაგიეროდ მის გვერდით მჯდომარე ავათმყოფ ქალს გული ორჯერ შეუწუხდა და თუ არ ბ-ნი იზვოშჩიკის უზრდელი საქციელი, უთუოთ მესამეჯერაც შეუწუხდებოდა.

„მცველი ანგელოზი“ თერგის ჯიშისა, ძლიერ ართობდა ეშმაკს ათასგვარი ამბებით ინგუშთა ცხოვრებიდან. უამბო აგრეთვე საგულისხმო ცნობა, თუ ერთმა „ძლიერმა იმა ქვეყნისამ“ როგორ და რამდენი ქანქარი აიღო ინგუშთა სოფლებიდან სულ უბრალო ამბის გამო.

ნაშუადღევი იქნებოდა რომ ეშმაკი ოზურგეთს მიევლინა. ახლათ გაშენებულ ვორონცოვის მოედანზე „საქველმოქმედო“ სეირნობა იმართებოდა. დამსწრე საზოგადოების უმრავლესობას ქალები და სამხედრო პირები შეადგენდენ. მოედნის სამივე კარები ბილეთებით იყო გამაგრებული. იქვე სამხედრო ორკესტრი უკრავდა და ქველმოქმედი საზოგადოება უზომო ნეტარებას განიცდიდა.

რადგან ოზურგეთმა კარგა ხანია და ისიც სამართლიანათ დაიმსახურა ჯოჯოხეთის სახელი, ეშმაკიც თავს თავისუფლად გრძნობდა და სხვა ქველმოქმედებთან ერთათ ისიც მოედანს გამოემზეურა. მაგრამ თურმე ნუ იტყვით

ნაშთი ძველი „დიდების“
არ გამქრალა ჯერე სრულად
და „რაინდთა“ მცირე ჯგუფი
ეშმაკს ქებს გულმოსულად.

და რა თქმა უნდა ეშმაკმა გაიგო იმათი განზრახვა, გაიგო და ჩაეცინა. იმას ძლიერ მოსწონს, როცა ახალგაზრდა, ძალ-ღონით აღსავსე ჭაბუკი ვერ იჭერს მოზღვავებულ ენერგიას და ეწევა რა გონების ეკონომიას, უმთავრესათ ძალას ავარჯიშებს და ძალმომრეობის გზას ადგება. ახლაც, როცა ეშმაკმა დაინახა ოთხი ხუთი გალეშილი უმაწვილი ვინმე სტუდენტის წინამძღოლობით, წინააღმდეგ მისსა ამხედრებული, აუწერელი სიამოვნება იგრძნო მიდგა იქვე მოედნის კუთხეში და შემდეგი შინაარსის პატარა ლექსი დასწერა:

„ამბობენ: ძალა ყოველი
მზისაგან მოედინების...
სითბო-სინათლის ტალღებათ
ქვეყანას მოეფინების.
ზოგს მეტი აუდუღდება,
მკლავში დაუწყებს ჩქერასა,
ჭკუას ბურუსში გაუხვევს
დამართებს გულის ძგერასა,
მაშინ იმისა დაჭერა
ვერ შეუძლია ვერასა
და აზრის დაუკითხავათ
აჰყვება ბედისწერასა.

ზოგს ნაკლებ მოედინება
მნათობის ძალა ცხოველი
(მოდუნებული ჩანჩალებს
მაშინ ამ გვარი ცხოველი)
მას ძაგს ტარიელ მკლავაძის
„საგმირო საქმე“ ყოველი
ვაჟკაცთა ყინიანობა
თავ-რეტ-ბრუ-დამახოველი.

ესე რა ვნახე სურათი
რაინდულ გაწვრთნილების
ოზურგეთელი „ტარიელ
მკლავაძე“ ემაწვილების,
ძლიერ შეამა განზრახვა
იმათი სურვილ ნების
„ეშმაკის“ შესამუსრავათ
მუშტების აღტყინების.
სახელი მათი არა ვთქვა,
არც არის მოსახსენები,
(ვინ იცის რა კუდს მოაბმენ
იმას ბოროტი ენები!!!)
დარბოდენ მოედანზედა
როგორც ათვიცრის ცხენები,
სიმსივრის დასანელებლათ
მინდორში განაჭენები.
ერთი მათგანი კოჭლობდა
და შემეცოდვა ბეჩავი
ფიქრათ გავივლე: „რას დარბის
ე მავ-დღიანი ნეტავი?
რა დაუკარგავს, რას ეძებს
ჩამბუქნავ გადამხედავი,
ალბათ გამომრჩა საბრალო
მათრახით გაუწკეპავი
სტუდენტისაგან უმეტეს
შეამა, ესე „გმირობა“,
თუმც არ აღსრულდა იმისი
რაინდულ-განაპირობა...
შეამა რადგან ვაჟკაცთა
გვეწვია ერთობ ძვირობა.
(მკლავისა ძალზე დაურდნობა
არ არის ჭკუა მცირობა)
შურის ძიება საქმეა
აროდეს დასაძრახველი,
თუ გიღრღნის გულის კიმკიმას
უზომო სევდა-ნაღველი,
მაგრამ ამგვართა ვაჟკაცთა
ვფიცავ არა ვარ მნახველი
სხვა რო ვერ ჭპოვეს ოზურგეთს
სამუშტო გასალახველი.

მართლაც ვერ გავიგეთ რა განძრახვა ჭქონდა ოზურგეთელ რაინდთა ჯგუფს, რომელნიც მწევარ-მეძებრებივით მთელი ღამე მოედანში და მის ირგვლივ დარბოდენ ეშმაკზე სანადიროთ. მეტა და სხვა მნახველებიც დარწმუნებული ვიყავით.

რომ არ დაზოგავს „ეშმაკი“
ამ მოსულელო კაცუნებს,
და კუდსა მათრახისას
მათ ზურგსაც გაუტკაცუნებს,

მაგრამ ამის მაგვარი არაფერი არ მომხდარა. ის ძლიერ გულდამშვიდებით შეეგება ოზურგეთელ უმკლავო მკლავაძეების განზრახვას და მესამეს დღეს უკვალოთ შიეფარა. ამბობენ გზა აღმოსავლეთისაკენ დაიჭირაო.

ეშმაკის მდივანი.

(ვნახოთ)

*
* *

არცა ვმღერი, არცა ვსტირი,
თუმც არ მწყალობს ვიცი ბედი,
მაინც ვმაგრობ, ვით ქვიტკირი,
სალი კლდეა ჩემი ქედი!
რა ვუყოთ, რომ მძიმე ჯვარი
თავის ნებით ამიღია?
ვინც სწუხს, არის გულ დამწვარი,
მისი კვნესა გამიგია.
რა ვუყოთ, რომ სხვისთვის ცრემლის
შემშრალება მოვინდომე?
მხარ მკლავში ვგრძნობ ძალას გრდემლის,
გულიც მისთვის გავალომე.
და ვცდილობ, რომ ჩემი ნდომა,
ფუჭად აღარ ჩაეტაროს.
დე, მე შემხვდეს მხოლოდ შრომა,
მომავალმა ინეტაროს!..

ნ. ზომლეთელი.

ავი და კარგი მხარეები

ცოცხალი ინვენტარისა

ქალბატონებო და ბატონებო!

კერძო საკუთრების არსებობამ ადამიანს ბევრი საჩხიკინო და სადავიდარობო საქმე გაუჩინა. რომ ქვეყანა ამ გვარ წყობილებას არ განიცდიდეს, ვინ იცის რამდენი თავსატეხი რამ ჩაბარდებოდა დავიწყების წყალს, ხოლო კაცობრიობის ლექსიკონში კი ერთი სიტყვა—ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი რკალებში ჩაისმოდა და ამით აუარებელი ზედმეტი ხარჯი შემოკლდებოდა. მარა, რადგანაც „გული კაცისა კრულია, ხარბი და გაუძღომელი“, იმისი ძალღონე საკუთრების შეძენასა და იმის დაცვისკენაა მიდრეკილი. ამას მოითხოვს ცოდვილი ქვეყნის პირის დღევანდელი პირობები და მიტომაცაა, რომ ყოველ ქალაქს, დაწესებულებას, საზოგადოებას და ხშირად ოჯახებსაც კი, დღეს თავისი ინვენტარი, ანუ ჩვენებურათ რომ ვთქვათ—ქ ო ნ ე ბ ა თ ა ს ი ა შემოუღია.

ქვეყნიეროპას რომ სოციალიზმი დღეს რახარუხით არ ეყურებოდეს, რა საჭიროა, ისედაც გაძვალტყავებულმა ქალაქმა ინვენტარის შედგენაში ზედმეტი ხარჯი გაიღოს, როცა შესაძლებელია თურ-

მე ისეთი ინვენტარი იქონიოს, რომელსაც სიარულიც შეუძლია, ლაპარაკიც, ზეპირ სიტყვაობით ცნობების მიცემაც, არ სჭირია ალფავიტი, დავთრები, ჩაწერა, ამოწერა, დანომრვა, ფურცვლა და ათასი სხვა დავიდარაბა. ზედმეტი ხარჯის—გაღება და თავისი ქონების დავთრების მკვდარ ფურცლებში ნომრობით, სადღაც, ძებნა ხომ უგუნურებაა, მაშინ როცა ცოცხალ ინვენტარს შენი ავლა-დიდების ჩამოთვლა მკაფიო ცოცხალი ენით ხუთი, წუთის განმავლობაში შეუძლია!!!

სწორეთ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ჩვენი დალოცვილი ქალაქი—სიზმარეთი, როცა ყოველგვარი დავთრები და ქონების აღსანუსხავი სიები უარჰყო და აგერ ოც წელიწადზე მეტია ცოცხალი ინვენტარი—როსტომა გაიჩინა. ამით მან ორი კურდღელი დაიჭირა: ზედმეტი ხარჯი აიცილა და მოხელეებიც გამსუნაგებისაგან დაზღვეულ ჰყო (რადგან ხშირათ ხდება ინვენტარის შედგენის დროს ავანსათ ფულის აღება და ჩაკნატუნება. ე. ი. გამორჩენა). სიზმარეთის მთელი ავლა დიდება ბ-ნ როსტომაში არის უკლისად მოქცეული. როსტომას უცქერი, სიზმარეთი ხელის გულზე გაქვს.

მარა ბუნების ბატონ პატრონი და მისივე გვირგვინი—ადამიანი, ზოგიერთ შემთხვევაში ბუნებისავე შეუბრალებლობას დიახ ლაჩრულად ემორჩილება და უპროტესტოდ მიემგზავრება იქ საიდანაც მობრძანებულა. ამ კანონს ბუნებისას ვერც ინვენტარობა შესცვლის და ვერც უმაღლესი „დანიშნულება“. „როსტომ ინვენტარი“ ხო სხვა როსტომაა, მარა ამაზედაც განრისხდა ბუნება და ერთი მცირე „პორუჩენიეს“ შესრულების დროს იგრძნო იმან ქვალები და ლოგინათ ჩაწვა. ვინიცობაა გაწყრეს ღმერთი და როსტომა იქ წარვლინდეს, საიდანაც მოვლინებულა, ეს ხომ სიზმარეთის ყოფაქონების დაკარგვას მოასწავებს. ქალაქი რიღასი ქალაქია, თუ იმან ყოველივე დააბნია და არა მოეძევა რა? საზოგადო ინტერესი წყალსაც წაუღია. აქ კუჭის ინტერესიც არის. ამას შტატების შემოკლება და ჯამაგირების შემცირებაც მოყვება. გამოსარჩენების ხსენება, ხომ სულ აღარ იქნება. სული მწარეა,—ცოდვილიც და მადლიანიც მას ებღაუქერა და რადგანაც როსტომის სიკვდილ სიცოცხლეზე ბევრი ცოლშვილის სულები ჰკიდია, იმის ავათყოფობის ამბავმა ძირ-ბუდიანათ შეარყა შემოარყია ქანქარისტელთა კეთილ განსასვენებელი—სიზმარეთის საკრებულო, სტოროჟიდან დაწყებული ვიდრე მალალ მწერლამდის. ხოლო ივან ივანიჩი, ზაალ მერაბიჩი და ქუქუჩელ ქაიხოსროვიჩი—მესვეურნი სიზმარეთისა ერთ ოთახში იდგენ და ერთმანეთს მსგავსად წანაკიდ ყვინჩილათა შესცქეროდენ. ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდენ ამ მდგომარეობაში, რომ უკანასკნელს თანატანჯულთათვის მუნჯურათ თითით არ ენიშნებია—წავიდეთო, რის შემდეგაც ეტლში ჩასხდენ.

ათი წუთის მოგზაურობის შემდეგ, გრილი ჰაერით გონს მოსულმა სიზმარეთის მესვეურებმა როსტომის ბინაზე ამოყვეს თავები. როსტომის სრულს ჭკუაზე ყოფნით გულდამშვიდებულმა ერთმა მათგანმა ავათმყოფს მიუალიას—დარდისფლავა, მორჩენა უსურვა და გულის ფანცქალით შეეკითხა:

— ხომ კარგათ ხარ როსტომ, როდის მორჩები?

— რა მოგახსენო ბატონო, ვატყობ რომ საქმე ცუდათ არის. ძლივს გასაგონი ხმით წარმოსთქვა როსტომ ინვენტარმა.

— არას გზით სიკვდილი არ გაბედო, როსტომ; ინვენტარის შედგენამდის ეს, მაინც, ყოვლად შეუძლებელია და შემდეგ კი რასაც მოავლენს ღმერთი ჩვენ თავზე, ვეცდებით გულმაგრათ ავიტანოთ. უთხრა მეორემ.

— თუ ჩემ სურვილზეა, არასოდეს არ მოვკვდები, მარა ძალათ ხელის შეკავება არ შემიძლია.

— შენგან შეუძლებელის შეძლებას ველით. ამასთან კიდევ მოწერილობას ჩაგაბარებ, რომ არ მოკვდე, სანამ ინვენტარს არ შეადგენ, მიაჭკუაბარაქა მესამემ.

— მომდგარ სიკვდილს ინვენტარის საჭიროება კი არა ხიშტი ვერ დააკავებს. მარა ჩემი სიცოცხლე თუ ასე საჭიროა თქვენთვის, ის ათასი მანეთი, რომელიც ინვენტარის შესადგენათ მოხელე ფულუყვარიძეს მიეცით უკან დაიბრუნეთ, ნაწილი დამახარჯეთ, მომარჩინეთ და საქმეც გამაკეთებიეთ.

— ერიჰა, ჩემო როსტომ, ის უფრო ადვილია რომ შენ ჩვენი მოწერილობის ძალით არ მოვკვდე, ვიდრე კაცმა ფულუყვარიძისაგან წაღებული ფული დაიბრუნოს წამოსცდა ერთ მათგანს. და რომ მეტი ჭეშმარიტება არ მოესმინათ როსტომასაგან, სამთავემ მორჩენა უსურვეს მას, ექიმს შეპირდენ და უკან გამობრუნდენ.

აი ბატონებო ავი და კარგი მხარე ცოცხალი ინვენტარისა, დამყარებული ცოცხალსაკე მაგალითზე სიზმარეთის ცხოვრებიდამ და დედანთან შესწორებული ქალაქ ბათუმში.

ბლიკვაძე.

ძნელი არის

(უძღვნი ე—ას.)

ძნელი არის გულის სიღრმეს
როცა ავსებს ნაღველ-ძმარი,
ირგვლივ ბნელა, ნუგეშის ხელს
არსით აშვერს მეგობარი!

ძნელი არის სულის შფოთვა,
ეს ხუნდ მდები აზროვნების,
სამარის კარს მიმასვენი
სასიცოცხლო სურვილ-ნების!

ძნელი არის სულ ტყვეობა,
და ძალ-ღონე ხუნდ ქვეშ მდნარი,
ვით ყვავილი სიცხისაგან
სიყრმის ჟამი ისე მჭკნარი!

ძნელი არის მისგან მტრობა
ვინც გეგონა მეგობარი,
ვის ალერსი უნდა ეძღვნა
გულში ჩაგცეს მან ლახვარი!

მაგრამ უფრო ძნელი არის,
რომ ხან ბრძოლის არ გვაქვს ნება,
ბევრი რამ-ს შემლახველთან
დაგრჩენია დავიწყება!

რ. ლეჩხუმელი.

ზოგიერთი ტიპიური არსებანი

ამ სათაურით ჩვენ გვინდა მივაწოდოთ მკითხველებს ზოგიერთ ტიპიურ არსებათა აღწერა. თუ ვინმე ამ „ტიპებში“ თავის თავს იცნობს და გაჯავრდება, წინდაწინვე ვაფრთხილებთ მას, რომ თავისი გულის წყრომა თავისივე გულში შეინახოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ეხლა უადგილობის გამო იძულებული ვართ მოკლეთ აღვწეროთ ის, მაშინ ადგილის სიცოტავეს არ დავერიდებით და ვეცდებით უფრო ვრცლათ შევეხოთ მის მაღალ ტიპიურ პატიოსნებას.

„ფშუტი“ ანუ „ფშუკი“

არის ერთგვარი ჯიშის სოკო. გურიაში მას გუდაფშუკას ეძახიან. ამ გუდაფშუკას თავი მორგვალებული და გაბერილი აქვს. როცა გახმება—გაშავდება და თუ ფეხი დაარტყით—გასქდება და „ფშუუუტ“-ო დაიძახებს.

ასეთი ადამიანიცაა, ადამიანები გუდა-ფშუკური. სრულიად არ არის საჭირო, რომ მათ თავებს ფეხი დაარტყათ, უამისოდაც მათი თავები სულ ფშუტს იძახიან. აქედან ასეთ გუდაფშუკა ოროფეხა ცხოველებს შეიძლება ვუწოდოთ შემოკლებით „ფშუტი“ ანუ „ფშუკი“.

ბ ნი ფშუკი მეტად მოხერხებული კაცია. ის მუდამ უსაქმოთ დაყიალობს, არაფერს აკეთებს, მარა ცხოვრობს კარგათ, კარგს სვამს და კარგს სჭამს, მუდამ ფრანტულად გამოწყობილია; ერთი სიტყვით, პარაზიტი გახლავთ, მარა სხვებს კი ისე აჩვენებს თავს, რომ თითქოს დიდი, მეტად დიდი საქმის კაცია. სულ ფართი-ფურთობს, სულ ვითომ და რაღაც დიდ საქმეშია გართული, ერთი წუთი რაა, ვითომ ერთი წუთიც მოცლა არა აქვს. მიდის ქუჩაში და მიიჩქარის, სახეზე ხვითქი გადადის, ცხვირსახოცი ხელში უჭირავს და მუდამ ოფლს იწმენდს, რა ქნას, საქმის კაცია, შრომობს, არ სცალია!.. სახე დიდ ფილოსოფოსივით ჩაფიქრებული აქვს. ისიც მცირე ხნით შეჩერდება, ერთ-ორ სიტყვას დიდი ხათრით გაიმეტებს, მერე უცებ მოტრიალდება, „არ მცალია“ დასძახებს და გასწევს აჩქარებით. შედის ბიბლიოთეკაში, გადახედავს ჟურნალ-გაზეთებს, ამოიღებს უბის წიგნს და შიგ რაღაცას ჩასწერს. ბიბლიოთეკარს მოსთხოვს რაღაც იშვიათ წიგნს, რომელიც იცის, რომ ბიბლიოთეკაში არ არის და რომელიც მას სრულიადაც არ სჭირია. ამის შემდეგ დაატანს ქუდს ხელს და გამორბის ქუჩაში. ახლა სხვა ადგილს მიეშურება. სადილობის დროს დაქანცული სახლში მიდის, დივანზე ხვნეშით დაეშვება და ცოლს, ან ოჯახის სხვა წევრს, რომელთა ხარჯით ცხოვრობს ფშუკი, დაქანცული ხმით, მარა ამაყურათ ეუბნება:

— თითქმის მეოთხედი საქმე გავაკეთე დღეს. ხუმრობაა, მეოთხედი იმ დიდი საქმეეებისა, რაც მე დაკისრებული მაქვს! ძლიერ დავიღალე, მარა უკან დახევა შეუძლებელია...

ცოლსაც ან სხვა მის მარჩენალს, ბ-ნი ფშუკი მართლა ქვეყნის მარილი ჰგონია და ამაყობს კიდეც მით.

— ჩვენი ფშუკი დიდათ ცნობილი კაცია. ერთ-ერთი ლიდერთაგანია. უუფ!.. რამდენ საქმეებს აკეთებს!.. გვეშინია ნერვები არ დაუსუსტდეს. ამდენი შრომა რკინასაც გასტეხს არა თუ კაცს!.. ამბობენ ფშუკის ნათესავები.

— ეხლა ცოტას წავიძინებ,—ეუბნება ცოლს (ან სხვას ეს სულ ერთია) ფშუკი,—შენ აი იმ შკაფიდან გამოიღე ის სქელი წიგნი, ფილოსოფოსის კანტის, როცა გამომეღვიძება—გადავათვალიერებ, მინდა ერთი შრომა დავწერო კანტის ფილოსოფიის შესახებ. ერთი მაგრათ უნდა ვუცხუნო ნეოკანტიანებს.

ცოლიც (ან სხვა ვინმე, ეს სულ ერთია) მიდის მოწიწებით შკაფთან, ფრთხილათ იღებს სქელ კანიან წიგნს ჴ ფრთხილადვე დებს ფშუკის მახლობლად სტოლზე.

არ შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნი ფშუკი დიდი აზრისა იყოს თავის თავზე, მან კარგათ იცის, რომ ის მხოლოდ ფშუკია და მეტი არაფერი. მარა მან ისიც კარგათ იცის, რომ სხვებს დიდ ვინმეთ უნდა მოაჩვენოს თავი.

— მინდა დავწერო ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკა,—გეუბნებათ ის,—მარა, საუბედუროთ, მასალები საკმაოთ ვერ შევაგროვე ან კი რა უნდა გააწყო ჩვენ ქვეყანაში!.. სულ სხვაა ლონდონი მისი საუცხოო ბიბლიოთეკით. იქ რო ვიყო, საშვალება რომ მქონდეს იქ წასვლისა და ლონდონის ბიბლიოთეკით სარგებლობისა, მაშინ ნახავთ თუ რა წავკიდო იმას, ვინც თქვა: ქართველ ხალხიდან მეცნიერი არ გამოვაო.

აი ჩამოუარა ფშუკს ნაცნობმა ინტელიგენტმა.

— კაცო!—მიაძახებს ფშუკს,—ჰეგელის „ფილოსოფია დუხა“ არა გაქვს?.. მჭირია მათხოვე... არა?.. არც შოპენგაუერის „მირ კაკ ვოლია ი პრედსტავლენიე“. კანტი არ მინდა, კანტი მაქვს... ეს წიგნებიც მქონდა, მარა სხვას ვათხოვე და დამიკარგა.

ისეთი ფშუკი, რომელიც ოდესმე საზღვარგარეთ ყოფილა, ხომ ყველა ფშუტს აჭარბებს თავისი მედიდურობით, ყველაზე უფშუტესია.

— ვნახე ჟორესი. ვიყავი მილიერანთან. გედიც ვნახე. ვნახე აგრეთვე კლემანსოც, მეტად მოხუცებულა. ჟორესს გავაცანი ჩემი შრომის შინაარსი, ზოგიერთი ადგილებიც წავუკითხე, მეტად მოეწონა. ფშუკავს ფშუკი.

ფშუკს ძალიან წყინობს, როცა ვინმეს აქებენ.

— ეეხ!.. ის რა მწერალია!—ხელების ჩაქნევით ამბობს ფშუკი,—წავიდა მისი დრო. ახლა თუ სერიოზულათ მთელი ფილოსოფია არ გაქვს ზედ მიწევნით შესწავლილი—შენი საქმე წასულია. იმან კი, ვისზედაც

თქვენ ამბობთ — დიდი ენერგიის კაცია, დიდი ნიჭის პატრონიაო ფილოსოფიის არა იცის რა. ტყუილათ კი არ დავხარჯე იმდენი დრო ფილოსოფიის შესწავლაზე.

ამ ფრაზებით ბ ნი ფშუკი გატყობინებთ, რომ ის არის, რაც არის, სხვა კი ყველა ფას მასთან!

აჭა, მოჭქრის ფშუკი ქუჩაში. იღლიაში სქელი წიგნი ამოუჩრია, ჯიბეები საგსე აქვს გაზეთებით. მიჭქრის დინჯათ და ჩაფიქრებულათ. მიჭქრის, მოფართი-ფურთობს და მისი ფეხსაცმელი მიჭკრიჭინებს: ფშუკ... ფშუკ... ფშუკ...

კენტი.

ყორნები ჩამოფრენილან.

ყორნები ჩამოფრენილან,
დასტრიალებენ არესა,
ჩხავიან, თითქოს მოსთქვამენ
რაღაცა ამბავს მწარესა.

მიდამო დადუმებულა,
მიდამო მოქრუშულია,
ცა მოჭედილა ღრუბლებით,
დაბნელდა მოღრუშულია!

დადუმებული ყურს უგდებს
ასე ყორნების ჩხავილსა,
და სევდიანი იგონებს
ამბავს გადამხდარს, ძველილსა:—

ყორანთ ლაშქარი ესტუმრა
ადამიანთა სახითა,
მიდამომ შეჭქმნა ვაება
იმათი შავი ზრახვითა,

მწარე ამბები მოედო
ქალაქებს, დაბა—სოფელთა,
უდროთ დაკარგულ შვილებზე
ძაძა ჩაიცვეს მშობელთა.

სოფლის ჯვარედინ შარაზე
ბევრი დააგდეს გმირები,
ყორნებს დაურჩათ სამარხი
უდროვოდ განაწირები.

მიდამო გულში იკლავდა
სიმწარეს,—აღარ სჯეროდა,
ხოლო ზეცა კი ცეცხლის ალს
უაზროთ ჩამოსცქეროდა!—

ყორნები ჩამოფრენილან!
სოფელი ისმენს ჩხავილსა—
და სევდიანი იგონებს
ამ ამბავს, წარსულს, ძველილსა!

იასამანი.

ქუთაისის ამბები.

ქალების ექსპროპრიაცია. როგორც გავიგეთ, „ცნობილი“ უკუქო „მოღვაწე“ სვიმონ ქარიანი, რომელიც ამ ჟამათ სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებლათ არის, ამ ზაფხულზე აპირებს ლექციების კითხვას. ფრიად საინტერესო თემაზე (განსაკუთრებით ქუთათურებისათვის): „ქალების ექსპროპრიაცია და ამ დიდებული აქტის დიდებული მნიშვნელობა ჭეშმარიტ“ მამულიშვილებისათვის.“ ლექტორს მეცნიერულათ ქონია დასაბუთებული თავისი გამოკვლევა კიდევ პარიჟში ყოფნის დროს, მხოლოთ 1905 წლიდან „პრაქტიკულადაც“ დაუმტკიცებია. სხვათა შორის ლექტორი იმ აზრს გამოთქვამს, რომ: „ჭეშმარიტი მამულიშვილი სხვისი ცოლის მოტაცების (ექსპროპრიაციის) დროს ხელმძღვანელობს არა უბრალო მოტივებით, როგორც არის მაგალ. ქალის თვალ წარმტაცი სილამაზე, დიდი მზითევი, გონებრივი სიდინჯე და განათლება და სხ., არამედ მხოლოთ „ალტრუისტული“ გრძნობით, შებრალებით; მაგ. როდესაც ჭაბუკი ხედავს, რომ გასათხოვარი, უალერსოთ, უსიყვარულოთ ჭკნება, როგორც კლდეზე ამოსული ყვავილი, მიდის ამ საბრალო, ნაზ არსებასთან, ხელს უწვდის მას, გულს მის სანაცვალოთ არ იშურებს და ბოლოს “ფორმალურათაც“ შეუღლდებიან“, აი, ლექტორის შეხედულობით, იდეალური ქალების ექსპროპრიაცია. იმედია საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებს სვიმონის ლექციებს.

„ანტიბახუსიანი“ მოგვაშველე. ქუთაისში, როგორც მოგეხსენებათ, მაისის დამლევი და ივანობისთვის დასაწყისი სტუდენტების სეზონათ ითვლება. ზოგი რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან ბრუნდება, ზოგი კი, მასწავლებლების ერთის თვის გულის ტრიალის შემდეგ, ახლა იჩეკებიან ჩვენი გიმნაზია-რეალური სასწავლებლიდან. ვაი რომ სტატისტიკოსი ჩვენმა ქალაქის თვითმართველობამ სახსენებლათაც არ იცის, თორემ დაწვრილებით გაცნობებდი, რამდენი სამიკიტნო მოემატება ხოლმე ქუთაისს ამ სეზონისათვის. ქეიფობენ ახლათ გამოჩეკილი სტუდენტები (ალბათ მაცადინობიდან განთავისუფლებას დღესასწაულობენ, მარა ამითი ხომ აქამდისაც არ იწუხებდენ თავს!), ქეიფობენ რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან დაბრუნებულები (ამათ გასამართლებელი საბუთი აქვთ, ალბათ ღვინო მოენატრებოდათ შორეულ ქვეყნებში). ღვინის ხარჯი ქუთაისში იმდენათ საგრძნობი შეიქნა, რომ სვირში უკვე აიწია ღვინის ფასმა. ერთი შენს მადლსა მათრახოსანო ეშმაკო, ი-ი დალოცვილი „ანტიბახუსინი“ გამოგვიგზავნე ერთი ქვაბი (პატარა ქვაბი კი არა, ოთხ გოგორაზე რო დგას ნავთის გადასატანათ რო ხმარობენ, აი იმითი) ფას დადებით, რაც შეიძლება მალე, თორემ, შენი მტერია, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებიც თურმე მიკიტნობას აპირებენ, ქანქარის მოგებით გატაცებულნი და მაშინ ხომ მთლათ დევიფსებით!..

საკვირველი ამბავი. წელს ადგილობრივ სათავადაზნაურო გიმნაზიაში პირველი „ვიპუსკი“ უნდა ყოფილიყო. დაინიშნა გამოცდა, ჩამობრძანდა „დელეგანტიც“ თხზულებები და სხვა საგნების წერითი ეგზამენები მოსწავლეებმა ჩააბარეს და „დელეგანტიც“ აქ იყო, დაიწყო საგნებში გამოცდაც და ყველასათვის მოულოდნელათ „დელეგანტი“ სადღაც გადაიკარგა, აქეთ ეცენ, იქით ეცენ, გამწარებული მოსწავლე-მასწავლებელნი, მაგრამ „დელეგანტი“ ქუთაისში არ აღმოჩნდა და არა. რამოდენიმე დღის

კვლევა-ძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ „დელედანტი“ თავის განსასვენებელ ქალაქში გაპარულიყო-უდეპეშეს და უდეპეშეს ქუთაისიდან: „ბატონო, რე. იზა გაგვიწყერი, რა გაწყენიეთ, რო ჩვენც უნუგეშო მდგომარეობაში ჩაგვყარეთ და მოწაფეებს მექუდეები აღრჩობენ თქვენი ლურჯ კანტებიანი ქუდები დაიხსენითო?!! დელედანტმა თურმე უპასუხა: „მე ძალიან გულნატკენი ვარ, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო გემნაზიის მასწავლებლებმა ხეპრული თავხედობა გამოიჩინეს და სხვა გემნაზიებთან შედარებით საგნებიც გაცილებით ვრცლათ გაიარეს და მოსწავლეებიც შედარებით უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენენო. ეს კი თქვენი მეტიჩრობაა და ამხანობაში მერვე კლასის მოსწავლეები ქუთაისში უნდა დარჩენ და იქამდე გამოიფიტონ გონებრივათ, ე. ი. იქამდე დაივიწყონ გავლილი საგნები, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გამოცდაო. მექუდეების ჯავრი კი ნუ გაქვთ, თვითონ მოწყინდებათ ხვეწნა და გაჩუმდებიანო“. რავა ფიქრობთ, ჯოჯოხეთის მბრძანებელო ეშმაკო, საოცარი მოვლენა არ არის ამ ცოდვილი ქვეყნისათვის? ყველგან იმას ჩივიან მოსწავლეებმა არაფერი იციანო ქ. სათ. აზნ. გემნაზიაში კი „დელედანტს“ „გადაჭარბებული“ ცოდნის შეშინებია. ჩემი აზრით, თუ კადნიერებათ არ ჩამითვლით, ამისთანა „დელედანტს“ ზურგი მოუფხანო მათრახის კუდით.

სებისკვრის მონოპოლია. ბ. ეშმაკო! როგორც დანამდვილებით შევიტყვე ქუთაისში ერთი ვინმე დემოკრატი“ ეკლესიის მოსამსახურე ყოფილა. წინეთ თურმე ეკლესიაში მისი ბოხოხიც რო შეგესროლა, გამოსატანათ არ შევიდოდა, ახლა კი არა თუ თავისას, არამედ სხვის მოვალეობასაც ასრულებს აქ გასასვირველი თავის თავათ არაფერია, ბ. ეშმაკო, ვინაიდგან „წესი არს უფლისა მსახურისა, მსახურებად ეკლესიისა“. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ახირებული „დემოკრატი“ ასეთ გულმოდგინებას იმისათვის იჩენს და ყოვლად-უსამღვდელოს ეზოს იმიტომ არ ცილდება, რომ თურმე სებისკვერის მონოპოლია ნდომებია ხელში ჩაიგდოს. დეე მისმა „თანამოძმეებმა“ თვითონ განსაჯონ თუ რამდენათ კანონიერ არს ეკლესიის მსახურის ასეთი მიდრეკილება ამა ქვეყნიერისა სიტკბოებისადმი. შენ მხოლოთ მას ისეთი უცხუნე შენი ძლევა მოსილი მათრახი, რომ „დემოკრატობაც“ დაავიწყდეს და სულ კალთებ გაშლილი გარბოდეს...

თუ ძთავ. ანგელოზის ხუცებსაც გადულაწუნებ შენს მადლიან მათრახს ძალიან კარგი იქნება, მხოლოთ მსუბუქათ, რომ საზაფხულო კაბა ანაფორები არ გასკდეს ბეჭებზე. ამ ვაჟბატონებს ეკლესიის სამსახურისთვისაც ბლომათ ეძლევათ ქანქარი, და სხვა „გარეშე“ წყაროებიდანაც ორივე ხელებით ხვეტავენ; საწყალ დაბალ მოსამსახურეებს კი, რომელთაც თავიანთი მცირე ჯამაგირი მარტო ჭადის ფასათ თუ ეყოფათ, საკრებულო შენობიდანაც გარეთ ერეკებიან, სადაც შეეძლოთ უფასო ბინით ესარგებლათ ხუცებს განუძრახავთ ეს საკრებულო შენობას მარტო თავიანთ საყლაპავ ქანქრის წყაროთ გადააქციონ. აფსუს სულის მოძღვარნო!..

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

II

ცხელა საშინლად...პაპანაქება,
მზე შეუბრალად ხრაკავს ქვეყანას
და ცხელი ქარი, სულის შემხუთი
დასძახის მთა ბარს ზუზუნით ნანას..
თან მიაქვს მტვერი გახურებული
გავარვარებულ ჭაერში აქსოვს,
გაბრაზებული მცხუნარე მზესთან
მიწას სისველეს უკანასკნელს სწოვს...
დილით ყურ-ნაცქვეტ დანამულ ტყეველს,
სახტად ყურები ჩამოუშვია...
ყანა აშკვნარა, მოუწყენია,
თითქმის ამ ცხელ ქარს სულ გაუშრია...
მიდის გლახუნა ამ ცხელ ჭაერში,
ტომარით ფქვილი ზურგზე ჰკიდია,
ხვითქი ჩამოსდის გულ-გადეღილს...
მაგრამ მაინც სდუმს, მაინც მშვიდია...
თუმც ბედს იწყევლის, უხმოთ უსიტყვოთ
ტუჩებს სიბრაზით იკვნეტს საწყალი...
ცხელ ოფლის წვეთებს ხან პირს აშორებს,
ხან კიდევ თვალებს ბედ განაწვალი...
გული უკვდება ყანების ნახვით...
გვალვა მძვინვარებს, ახმობს ჭინახულს,
ნათესი მთელად გადახრუკული
აპირხმელებს თვით იუდას გულს...
მაშ გაისისთვის, როგორც წელს ისე,
უნდა ეკიდოს მხარზე ტომარი...
მისს შიმშილს, ტანჯვას ცოლ-შვილთან ერთად
დასისინებდე', კიდევ ეს ქარი...
აწმყო შავბნელი და უიმედო,
ბურუსში არის თან მომავალი...
მარა გლახუნა მიდის თავისთვის,
მან კარგათ იცის თავისა გზა:
უნდა ტოლშვილში მალე მოკიდეს,
მერმე კი თოხნოს სადამომდის..
ბედმა კი მკაცრმა რაც მოიწადოს
აღარ შესცვალოს, ასრულოს ისა...

ვ. მალაქიაშვილი.

(დასასრული იქნება)





ორი ეშმაკი

სასტიკი გამოცდა

პირ. ეშმ. აღარ ვიცი ძმობას გეფიცები როდემდის
გავუძლებ ამ შიმშილობას?
აგერ სამი თვე გამრგვალებულა
ცხელი საჭმელი არ მიჭამია...
მჭადის ნატეხიც კი მენატრება
და მომკლა ხილმა ჩემო ძმია.

მეორ. ეშმ. მერე რათ იკლავ თავს უბედურო?
იქნებ გგონია შე უგუნურო
დაგიფასებენ მაგ მარხულობას
დღე და ღამ ტანჯვა—ჭირნახულობას?
სულ ტყუილია!..
და თუ გსურს პური
აი ჩემს რჩევას დაუგდე ყური.

პირ. ეშმ. მითხარი აბა: რით მოხერხდება
ჩემი ცხოვრების გამოკეთება?

მეორ. ეშმ. ძალიან კარგი...
მაშ მომისმინე
გეყო შიმშილი რაც მოითმინე.

ახლა კი, ძმაო გაბედულება და რეაქციის ალღოს ღებაა სიჭირო აი ჩაუკვირდი: ქუჩაში მობრძანდება ბ ნ ოქრო! მართალია ამალის თანხლებით. გესმის, ბ ნ ოქრო! მართალია დღეს ისეთი პატივით მოგზავრობა, როგორითაც ბ ნ ოქრო მოგზავრობს დიდს მოხელესა და ცნობილ დამნაშავეს თუ მოუწევს, თორემ უბრალო მომაკვდავისათვის მხოლოდ ოცნებაა. და აი მობრძანდება ბ ნ ოქრო!

გაშალე ფრთები, იხმარე ძალა
და თუ დაფეთდა მისი ამალა,
ოქროს წაიღებ თავზე საყრელათ
ასე იოლათ და უშრომელათ.

პირ ეშმ. გმადლობ რჩევისთვის...
მაგრამ არ მომწონს,
თავი შეურცხვეს მაგის გამომგონს!

მეორ. ეშმ. თუ ეგ არ მოგწონს, ძმაო, მაშინა
ფულის საჭელი ჰპოვე მაშინა.
ბეჭდე ე ყალბი ქაღალდის ფული
(მასალა კია ღვთის მოცემული)
უფრო დააწევ სამ მანეთიანს
მუშტრებს იშოვი მით ლაზათიანს.
წახვალ სოფელში, წაიღებ ბლომათ
და გამდიდრდები თითქმის უშრომათ.

პირ. ეშმ. გმადლობ რჩევისთვის,
მაგრამ არ მომწონს,
წვერი შეურცხვეს ყალბ ფულის მომგონს!

მეორ. ეშმ. ვა! ე რა კერპი რა ყოფილხარ?
შენ, მეგობარო, ბერათ შობილხარ.
მაშ ახლა ამას დაუგდე ყური:
წერილი სწერე შანტაჟისტური!
კუბოს ნახატი მშიშარა ქალებს
შიშით აიტანს ააკანკალებს,
და თუ ამ რჩევას დაეთანხმები
ეგრე უჭმელი აღარ გახმები.

პირ. ეშმ. გმადლობ რჩევისთვის!
მაგრამ არ მომწონს,
ღმერთი შეარცხვენს შანტაჟის მომგონს.

მეორ. ეშმ. მაშ რა ხელობა გამოგიჩინო
რომ უდარდელათ თავი ირჩინო?
ერთს კიდევ ვშინჯავ და გქონდეს სმენა
კარგია, ძმაო, ფულის შეძენა...
ტრამვაი ალბათ გეცოდინება
აქ რო ქუჩებში ებოგინება?

პირ. ეშმ. კარგი, ნუ ხუმრობ თუ ღმერთი გწამდეს!
ვეჭვობ იქიდან რამ გამოშავდეს.

მეორ. ეშმ. მოიცა, ძმაო, ნუ აჩქარდები
თორემ გიმატებს გულის დარდები.
თუ შენ ჩემ რჩევას კი შეასულებ
აბასთუმანში გაიზაფხულებ!
შენ უნდა იღრძო როგორმე ფეხი,
ან სხვა იშოვო ფეხ მონატეხი...
სოფლებში განა მცირედი არი
ფეხ-მოტეხილი, და მონაჭარი?!
იშოვი ექიმს, და ცრუ მოწმეებს
(ბლომათ შეხვდები ასეთ მოძმეებს)
და თუ კი საქმეს დაიჭერ ფრთხილათ

ფეხს შეამოწმებ აქ მოტეხილათ.
მერმე იჩიენლებ ზარალს ფეხისას,
(ტრამვაისაგან მონატეხისას)
იშოვი ვექილს ენა ჰახრაკას
და ექვსას თუმანს წამში აგაკრავს.
ამაზე უფრო ალალი გროში
არ იშოვება ამ წყეულ დროში.

პირ. ეშმ. ძმაო, რას ამბობ?! ეს დარიგება
იცოდე ჩემთან არ გამოდგება
მე გავიჩინო ფეხებში წყლული
და ტრამვაიდან ავიღო ფული?
გმადლობ რჩევისთვის
მაგრამ არ მამწონს
თავი შეურცხვეს მაგ ხერხის მომგონს!!

მეორ. ეშმ. ერთი დახედეთ ამის ზნეობას
და პატიოსან მომჭირნეობას!!
შენ, მეგობარო, არ გშია ვგონებ
და ამიტომაც არას მიგონებ,
თორემ, ვინც სადმე ფეხი კი იღრძო
ფული სუყველამ ამ გზით მიიღო.
ახლა, კვლავ გამცნობ ერთ საშვალებას
თუ ხელს აღაღებ ზნეობის მცნებას,
წერა ქე იცი, კალამიც გიჭრის
და თუ რო მართლა თავში არ გიქრის,
ჩვენს „ესდეკებზე“ დასწერე რამე
და მით „ჭეშმარიტ ქართველთ“ აამე.
მოიხსენიე თუ: „ის ოხრები
რა რიგ სტანჯავდენ ჩვენ თავადობას;
როგორ ურჩევდენ ტყეების ჩეხას
და სხვა მრავალ გვარ ავაზაკობას,
როგორ უშლიდენ ღალის მიცემას,
დრამის ფულს ხუცებს როგორ უჭერდენ
გალაღებულნი, თავაშვებულნი,
„ერთობას“ როგორ გიმნებს უმღერდენ.
წამოაყოლე ჭორის გუდიდან
რაც ეამება „ზუბრების“ სმენას
და დამერწმუნე, ძმაო ეშმაკო,
მოგიჭედავენ მჭევრ-მეტყველ ენას.
სადაც კი „ზუბრთა“ ჭოჭი მისწვდება
ყველგან გექნება ლაღი ცხოვრება
ოქროს სიტყვებით აღიბეჭდება
შენი იმათგან ჩამოშორება.

პირ. ეშმ. გმადლობ რჩევისთვის, მაგრამ არა მსურს
ცილის წამებით, ლუკმა ვიყიდო
სირცხვილი იმათ ვინც ამ ოინით
თფილი ბალიში თავთ ამოიდო.

ვირი თუ ადამიანი.

შევხედე, ბიჭი ჯოხითა,
ვირს ცემდა გაბრაზებული;
მივიდა „ერთი ახმახი“
ეტყოდა გაჯავრებული:

„შე საზიზღარო, რათა სცემ?
იბრიყვებ, პირუტყვიაო?
განა არ სტკივა, რა კი რომ
სიტყვები ვერ უთქვიაო?“.

ვიფიქრე იმა ახმახზე
ეს კაცი შეგნებულია,
რადგანაც პირუტყვისათვის,
ასე შესტკივა გულია!..

გავხედე, მოჯამაგირე,
რომ წაექცია აღასა,
ხელებით მოღალულიყო,
გულშიდა სცემდა წაღასა!

ვირის გულ-შემატკივარი,
ჩხუბისკენ გაქცეულიყო,
ქარქაშით ხმალსა იქნევდა,
რომ ხალხი გაფანტულიყო.

მერე კი ჰკითხა აღასა:
„რათა სცემ, ამიხსენიო?!“
აღამ აუხსნა: „შეჰყრია,
„ბუნტოვჩიკების სენიო“,

გაბრაზდა იგივ „ახმახი“,
მოჯამაგირეს აგინა,
ისეთი ურტყა სახეში,
ცხვირიდან სისხლი ადინა,

ვიფიქრე: ადამიანებს,
ნუ თუ ვირები სჯობია?!
მოდი ნუ იტყვი, ასეთი
სიცოცხლე დასაგმობია!..

მ. ლელაშვილი.



ქუთაისის ქუჩებში მოგზაურობა.

მუსტვირული.

ხოტბა მათრახისა

ჰხაჩს მათრახი კუდით ჩწვავე
ტარით ხელში დანაჭერი,
როს წინ გიდგას დამნაშავე
შენაკრთომ-გულ-ანაძგერი!
თუმცა სხვისი მძულს სიავე
და მის მსგავსი ყველაფერი,
მაგრამ თუ არ მოუქავე
ზოგს ალაგი შესაფერი,
გაგიხდება მომდურავე,
შენზე გამწყრალ-განამტერი
და კვლავ თუნდაც დაუყვავე,
არ დაგრჩება მადლიერი.
მაშ ვისთვის, ან რისთვის მინდა
მათრახი წვერ-მონალერი,
თუ რომ ძალი დამიკნინდა,
ან გავხდი პირ მონაფერი,
ან თუ გული დამიშინდა
ექვით პყრობილ ანაძგერი,
შემომბეზრდა და მომწყინდა
საქმე დროის შესაფერი?!
სჯობს ვასრულო აზრი წმინდა:
არ დავზოგო არსად მტერი!
იარალით ვისზეც მინდა,
შევიქნა გულ-მონაჯერი...
თქმა არ უნდა, იარალი
არ მოქმედობს გარეგნულათ.
არ აჩნდება მისგან დალი
ზოლებათ ან გაკაწრულათ,
არც ცხელება განაჩალი
ტანს ედება მისგან სრულათ,
მხოლოდ უყვარს აზრი სალი
და ვინც ამას უმზერს მტრულათ,
მას ეწვევა ეგ კუდ ლალი
იერიშით, არ ფარულათ,
და მყის ხდება კაცი სალი
სულით, გულით გაბასრულათ!..
ვინ არ იცის, რომ დროება
არის მეტად ცვალებადი!
დღესა ღამე შეეცვლება
და წელიწადს წელიწადი.
დროსდაგვარად სხვაფერდება
კაციც ღვთისგან დანაბადი:
ზოგს დღეს ლა͘ე ეჯავრება,
ხვალ არ მოსწონს განთიადი,
გული შურით ებერება,
ოდნავ მაზე წინ თუ წადით.
ამ გვართ ზურგებს მოუხდება
ეგ ეშმაკის განამზადი!
ზოგი კაცი სულ ორჭოფობს,
არის ენა მოქარგული,
ხან ფუტკარს ჰგავს, ხან ობობას
მუდამ ისარ მოწამლული,
ზოგი მეტად „ფილოსოფობს,“
ჰფიქრობს მძიმედ თავ ჩარგული,
თავით ბატს ჰგავს, კუდით ხოხობს
არის ცოცხლად დაკარგული,
ზოგი კიდევ „ჭკვა-კოლოფობს“...
მაგრამ კმარა უკვე თქმული!
ყველას, ამ გვარს სცნობს და მოწმობს
ეს მათრახი მომართული!
ჰე, მათრახო, უსადარო,
იყავ მარად ღონიერი!
ვინძლო ღირსად ივარჯიშო,
გშვენის რხევა გონიერი!
შრომა იცი უანგარო
და მასთან ნაყოფიერი,
დროზე უნდა მოიხარო,
დროზე გაიქნიო წვერი!
ჰხამს, წამალო უებარო!
მომართვაცა ზომიერი!
ვისაც რისხვით შეეყარო,
მყის ეცვალოს კრთომით ფერი ..

ნ. ზომლეთელი.

წერილები ეშმაკისადმი.

თფილისიდან

თფილისის მკერვალი ხაზე-ნები ამ ბოლო დროს ძრიელ გაიტაცა მოგების სურვილმა, რადგან თვიური მუშაობიდან მოგებული „ქანქარი“ არ ეყოთ ახლა თურმე გ ნუძრახავთ ნაჭრობით მუშაობა შემოიღონ. ამ მიზნით 20 ივნისის კრებაზე დაუდგენიათ ლოკაუტის გამოცხადება.

აუცილებლათ საჭიროა „სპერმაკულტინის“ წვეთები შემდეგი პირებისათვის: შერემეტევი (რადგან კრების თავმჯდომარე იყო ყველაზე მეტი ეკუთვნის), ჩექმარევი, სტროგონოვი, სვანიძე, კრიჩევსკი, ცეიმანი, საფაროვი და დანიელოვისთვის. საჭიროა აგრეთვე კიშელგოფის მაღაზიაში შესვლა, (მიხ. პრ.) და ხაზეინის შვილის „ლოვკეს“ შემათრახება, რომ შემდეგში ზრდილობიანათ მოიქცეს. დასასრულ არ შემიძლია არ მოგაგონოთ კიშელგოფის მაღაზიის ქვედა სართულში მყოფი მისი ყოფილი მუშა ფოტიევი, რომელმაც მუშაობა იუკადრისა და გახაზეინება მოინდომა. ამ აზრით კიშელგოფს თავი დაანება, გახაზეინდა და თავის შეგირდებს დღე და ღამ ამუშავებს რაც ეკადრება ამ ვაჟბატონს თქვენთვის მოგვინდია.

დანარჩენ ხაზეინებზე და მუშებზე შემდეგ.

მკერვალი ეშმაკი.

—

ტოლეს ქარხანა. ტოლეს ქარხანაში რომ ამბები ხდება ეხლა მტერსაც ნუ გააგონოს. ხაზეინებზე რაღა გვეთქმის, როცა წინეთ „სოციალისტი“ მუშები მათზე უარესები გახდენ. აბა ოჰანეზა უნანიანცს რომელი ხაზეინი შეეძრება?! ამას წინათ გაზეთ „ნაპერწკალში“ წერილი მოათავსეს და მისი ფიზიონომია ნათელ ყვეს. ამან ისე გააბრაზა, რომ მთელი დღეები დედ-მამას აგინებდა წერილის ავტორს. ბოლოს ციხითაც კი დაემუქრა. ეხლა როცა მუშები ქუჩაში გამოგვრეკეს ოჰანეზა სიხარულით ფეხზე აღარა სდგას. თუ რამეს გვიშველის თქვენი მათრახი. ოჰანეზას ნიკოლეიქოვი და ალექსა ბურდულიც არ ჩამოუვარდებიან და არც მათ აწყენს მათრახი.

ს. ჩ—ლი.

—

პროვინციებიდან.

სამტრედია. სრულის იმედით ველოდით „კრუხსა“ და ბ. ჯუღელს შორის ატეხილ უთანხმოების გამორკვევას. სამედიატორო სასამართლოს უნდა დაემტკიცებია რამოდენიმე გაზეთის კორესპონდენტის მიერ წამოყენებული ბრალდება.

მაგრამ მოლოდინი გაგვიცრუვდა. სასამართლოს თავმჯდომარემ სრულიად მოულოდნელათ ბესარიონისკენ გადაიმასქნა. ამიტომ ბესარიონის „საქმენი საგმირონი“ დროებით მიფუჩეჩდა. ამ გარემოებას ხელი შეუწყო მოულოდნელმა ჭექა-ქუხილმა. მედიატორენი სრულიად დაფრთხენ და გულის ფრიალი აუვარდათ. თავმჯდომარის გამათრახება აუცილებელია.

— პარასკევს 20 ივნისს აქ ბ. ვასო ურუშაძის ხელმძღვანელობით ითამაშეს პ. ირეთელის 5 მოქ. დრამა „დამარცხებულნი“. ეს პიესა მართლაც სცენაზე „დაამარცხეს“ „გამოჩენილმა“ აქტიორებმა. გადასწყვიტეს აქედან წარმოადგინონ ფოთში, იქიდან ბათუმში, და რადგან დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭეს პირდაპირ ავსტრალიის კუნძულებზე ეპირებიან.

— ამ რამოდენიმე დღის წინათ აქ დაიჭირეს ყოფილი ს. დ. ვანო ხურცილავა და ევთიმე ახობაძე, რომელთაც აღმოაჩნდათ რამოდენიმე ასი ყალბი ქანქარი. საჭიროა ეს ამბავი დაუყოვნებლივ ეცნობოს ბ. ხეობელს და კამპ., რათა ჩაიწერონ უბის წიგნში და სოც. დემ. წინააღმდეგ ჩვეულებრივ „დაურღვეველ“ ფაქტებათ აღიარონ.

— ადგილობრივ ზოგიერთ ვაჭრებმა განიზრახეს პარკით მოვაჭრე სხვა ტომის მოვაჭრენი აქედან გააძევონ, რადგან იმათ პარკის ფასი 16 მან. ასწიეს. აი ნამდვილი „ჭეშმარიტ ქართველური“ ტაქტიკა!

„სათანა“

—

რაჭიდან ქუთაისამდე. მე ქალაქ ფოთის მოვაჭრე მიხაილ გლახუასაძე დონაძე ს. წესიდან გამოვემგზავრე ქუთაისისაკენ. წამოსვლის დროს სამგზავრო ბილეთი ავიღე ქუთაისამდე მეეტლეთა ამხანაგობა „მოგზაურისაგან“, გადამახდევინეს სამ მანეთ ნახევარი. მე მეგონა ქუთაისამდე არვინ ხმას არ გამცემდა, მაგრამ მივედით თუ არა შუა გზაზე მომთხოვეს კიდევ სამ მანეთ ნახევარი, მე ბილეთი ვაჩვენე, მაგრამ მითხრეს ამას უკვე ვ·და გაუვიდა და კიდევ უნდა გადაიხადოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ფეხით მიბრძანდითო. მეტი რა გზა მქონდა გადავიხადე. ეჭვი არაა ყველა მგზავრებს ასე ექცევიან. და საკვირველია რატომ ამხანაგობა არ მიაქცევს ამას ყურადღებას?! ხოლო თუ ეს ამხანაგობის განკარგულებით ხდება მით უარესი. შანტაჟისტობა ამაზე შორს სად წავა? იქნებ მგზავრს მეტი ფული არა აქვს და შუა გზიდან ხომ ქვეითათ უნდა იაროს? საჭიროა ამხანაგობამ ხმა ამოიღოს.

მიხაილ დონაძე.

—

ხონი. 14 ამა ივნისისასა, მსგავსად წერილისა ჩემდამო რწმუნებულ რაიონის ცენტრში ე. ი. ხონში მოიგრაგნა საქართველოს მგოსანი, სიმონ ქვარიოსანი.

თანაბრათ მიღებულ წესისა, ჩემს რაიონს გაგებული ქონდა, რომ ამ დღეს დიდებული მგოსანი წაიკითხავდა ლექციას: ქართველი ერის უძველეს კულტურაზე. არც მოვტყუვდით. აიწია ფარდა და კიდეც წარმოდინდა დაუშრეტელი ნაკადული მჭევრმეტყველობისა ბაგეთაგან დიდებულის სიმონისა. „სლოკინებდა“ როგორც ბულბული, „ზიმფლოვნობდა“ როგორც ნატაშა (ქვარიანის „ვიზიტი“ და ბულბულის „სლოკინი)“. დიახ დაიწყო მეთქი და კიდეც ამცნო აუდიტორიას, რომ ქართველ ერს „უწინარეს მრავალთა საუკუნეთა ქრისტეს დაბადებამდე“ ქონებია დიდი კულტურა; ირანი, მესოპოტამია და ძველი აზია მისი ყოფილა და სხვ. ამის წინააღმდეგ რასაკვირველია, არვის არაფერი ექნება, მარა მაგარი ისაა, რომ ვერც ერთმა მსმენელმა ვერ გაიგო თუ რაში გამოიხატებოდა ეს კულტურა, მეცნიერების, ან ხელოვნების რომელი დარგი იყო განვითარებული, და სხვ. მიუხედავათ იმისა, რომ ლექციის ტემა „კულტურა“ იყო, ქვარიანმა ქართლ-ომეროსების ომები და შეჯახ-შემოჯახებანი ჩამოთვალა, მსგავსად ბელიარმინოვ-ილოვაისკისა და ისიც ისე ზღაპრულათ, გეგონებოდათ არგონავთე-

ბის გალაშქრების ხლაპარს გვიამბობს ენა წყლიანი მგოსანია. ლექცია ერთის საათის შემდეგ შეწყდა, ჩვენ გვეგონა კულტურაზე მეორე ნაწილში ილაპარაკებდა, მარა ლექტორმა მოწყალების მთხოვ ოვალებით გადმოგვხედა სცენიდან—ტაშს რათ არ მიკრავთო. თურმე ნუ იტყვით ლექცია გაეთავებია და „პუბლიკასაც“ ხელის „დატატუნების“ მეტი რა დარჩენოდა. დავრჩით პირში ჩალა გამოვლებული. აი ასე ჩაუყარა დიდებულმა მგოსანმა მომავალ სახალხო უნივერსიტეტს საძირკველი. აი როგორ დააკმაყოფილა მან ჩემდამო რწმუნებული რაიონის ეშმაკ-ანგელოზები. მინდოდა იმ წამსვე ჩამესპერმაკუდინ-მათრახებია მგოსანი, მარა მომაგონდა, რომ ამდენის ავტონომიით ჯერ-ჯერობით არ სარგებლობდა თქვენგან ჩემი რაიონი და მეც ძალა-უნებურათ თავი შევიკავე. ახლა გაცნობებთ რა ამ ამბავს, განმეორებით გთხოვთ, მომანიჭოთ შინაურ საქმეებში ავტონომია, რათა ჩემი სურვილისამებრ შემეძლოს კუდინისა და მათრახის ხმარება, ხოლო ოფიციალურათ ყოველთვის გაცნობებთ ყოველგვარ ჩემს ნაბიჯს, მოქმედებას და განკარგულებას. გიმეორებთ ავტონომია ძლიერ საჭიროა დღეს ჩემს რაიონში. შეცდომებისათვის, რასაკვირველია, პასუხს მაგებინებთ.

ეშმაკუნა.

—

დ. ჩხარი. მთელ საქართველოში არ იქნება ისეთი საზოგადოება, სადაც ჩვენისთანა მწერალი მოიპოვებოდეს. რა გინდა, ბატონო, ჩვენმა მწერალმა რომ არ იცოდეს, რა გინდა რომ არ გააკეთოს? ათასჯერ გადაიმეს-გადმოიმასქნილებული კაცია. ჯერ იყო და ს. ხრეითში მთელი დუნია გააკვირვა „თავის უანგარო მოღვაწეობით“. ეხლა კი ჩხარელები ხომ სულ განცვიფრებაში მოიყვანა.

ასეთ კარგ მწერლთან ერთათ ჩხარელებს ერთი აფთიქიც აქვთ, სადაც დღე და ღამ თავს იყრის აქაური მოინტელიგენტო ხალხი და გახურებული ნარდ-კარტის თამაშია.

ასეთია დღეს ჩხარი კულტურული განვითარების ისტორია.

საშა ჩხარელი.

—

სიღნაღი. ვართანა ამირან-ოღლით
იქ ბრძანებულან გონია,
სად მოკლე ხანში ბაბუას
იუბილეი ჰქონია.
„სამოზვანცები“ ორნივე
ტაკი მასხრები ქალაქის,
რაც მოახდინეს ამათ იქ
ვგონებ სათქმელათ არა ღირს
„სტუკნიმ“ უძახდა ვართანა,
ფრთხილათ, არ დაგვეძინოსა,
ამირან დიდ-მუცელოვი
ჰყლაპდა შამპანურ ღვინოსა
ამირან ვართანს ამხნევებს:
„ნუ გეშინიან ვართანა,
დალიე დამალევინე
პასუხს მე ვაგებ სამთანა.
აქ უსასყიდლო სადილით
ვამხიარულოთ გულია,
ჯიბეს დაგვრჩება ჰარალე
სილნაღელების ფულია“.
დასრულდა ესე ნადიმი
სალხინო სანატრელია,
რაც ორთ იგემეს აქ სიტკბო
ასაწერათაც ძნელია.
ოცდა ათ თუმანს კასიდამ
ამათ უკრიქეს კბილია
ტუჩებს ატოკებს ამირან.
გენაცვა რა რიგ ტკბილია
ვართანა თუმცა ფიქრობდა
ამ ფულის შეტყაპუნებას
„გუბერნატორმა ვამე თუ“...
ეკითხებოდა გუნებას.
აკი სადილი უმართა
ვითომ ქალაქის ბრალია!
და ოც თუმნამდის ამ ვალით
კასას დაეჩნდა კვალია,
მაგრამ ვართანას პურ-მარილს
ვგონებ არ ჰქონდა ძალია,
რადგანაც გუბერნატორმა
არ დაუმტკიცა ვალია.
სამძიმარს უთვლის ვართანას
ამირან „გვალე-გვალეა,“
მაგრამ ვართანა დასძახის
შორს, წადი, გამეცალეა.
მე თუ ავიღე ფულები
ვგონებ შენც გაგიზიარე,
ეხლა პოდსუდში მაძლევენ
საქმე რათ გამიტიალე.
ასე ჩაშჩხამდა ვართანას
იუბილეის ლხინია,
იძახის „კიდევ ფონს გავალ
აბა რა გასაჭირია.“

მეწყინე.

ერთობის სალხი.

(იხ. „ეშმ. მათ.“ № 36)

(გაგრძელება)

ნიკიფ. (მივა ახლოს და დაჯდება ჩაახვეულებს) მოგეხსენებათ, ბატონო, რომ კაცს თუ ღმერთი არა სწამს მისი საქმე სულ უკუღმა მიდის. ისიც მოგეხსენებათ, რომ უღვთოთ არაფერი არ კეთდება ქვეყანაზე (ბირჯვარს იწერს) დიდება სახელსა მისსა უკუნითი უკუნისამდე. (სამსონ და ვიქტორ იდიმებიან) ყოველ კაცს უნდა სწამდეს ღმერთი...

სამს. (გაუწყვეტინებს) მაგ ფილოსოფიას თავი დაანებე, მამაო და პირდაპირ გვითხარით რაშია საქმე?

ნიკიფ. მოგახსენებთ. მე ვამბობ ყოველ კაცს უნდა სწამდეს ღმერთი მეთქი. შეიძლება კაცი ახალი თაობის იყოს, მაგრამ ღმერთი სწამდეს (ბირჯვარს იწერს) დიდება სახელსა მისსა...

ვიქტ. ღმერთს თავი დავანებოთ, მამაო, და ისა სთქვი რა საქმე გაქვთ ჩვენთან?

ნიკიფ. არა, ულვთოთ არაფერი არ შეიძლება. მეც ახალთაობის საქმეს ვემსახურები, მაგრამ ღმერთს მუდამ ვლოცულობ. მოგეხსენებათ, რომ უღმერთოთ ხალხი არ ვარგა. ჩვენ ვშუამდგომლობთ ხალხისთვის ღვთის წინაშე. წინათ, სანამ ახალი თაობა შემოვიდოდა, სოფლში საწირავიც ბევრი გვქონდა, საკურთხებიც, სანთლავი და საორსულო და ხალხიც ბლომათ დადიოდა ეკკლესიაში. ყველა პატივს გვცემდა. ეხლა აღარც არვინ არაფრათ გვაგდებს და საწირავ საკურთხის ხომ ხსენებაც აღარ არის. ხალხი გაირყვნა, ეკკლესიაში აღარავინ დადის.

სამს. (ღიმილით) მერე ჩვენ რა უნდა ვქნათ?

ნიკიფ. მოგახსენებთ. ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ დიაკვნები გადაგვერია. როცა საკურთხი ან საწირავი გვეღირსება, ცხვირ-პირს გვამტვრევენ თავფეხის გულისთვის. აღარც ღმერთი სწამთ და აღარც ხატი...

სამს. ძლიერ ცუდი ამბავია. (ღიმილით) რას თხოულობთ ახლა ჩვენგან?

ნიკიფ. თქვენგან აი რას ვთხოულობ ყველა მღვდლების სახელით: ჩაგვიწერეთ გაზეთში, რომ ახალი თაობა ღმერთს არ უარყოფს, რომ ხალხისთვის საჭიროა ღმერთი, წირვა-ლოცვა, ეკკლესიაში სიარული და საკურთხები. რომ დიაკვნები ჩვენი მორჩილნი უნდა იყვნენ და თავ-ფეხზე ხელი აიღონ.

სამს. (იცინის) აქ, მამაო, გაზეთის რედაქციაა, იქნება თქვენ ეფისკოპოზის კანცელარია გეგონათ?

ნიკიფ. არა, ბატონო. მე ვიცი, რომ აქ რედაქციაა და ახალთაობის ხალხი ხართ და იმიტომ მოვედი.

ვიქტ. ეგ ჩვენი საქმე არ არის მამაო, ეფისკოპოზს მიმართეთ.

ნიკიფ. არა, ბატონო, ეფისკოპოზს ეხლა ვინდა უჯერებს, ყველა თქვენ გიჯერებს და გთხოვთ თუ შეიძლებოდეს დაგვეხმაროთ. ჩვენც ერთობის ხალხი ვართ, ჩვენც ვებრძვით მთავრობას.

სამს. ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია, მამაო, უმჯობესია ეფისკოპოზს მიმართოთ და დიაკვნებთან მორიგდეთ.

ნიკიფ. (წამოდგება) თქვენ კი შეგიძლიათ, გთხოვთ.

სამს. გაიგონეთ, მამაო, რომ ეგ ჩვენი საქმე არ არის.

ნიკიფ. თქვენ ყველაფერს დაგიჯერებენ და გთხოვთ.

სამს. თუ კარგათ ექცეოდით ხალხს კარგათ მოგექცევათ და თუ ავათ—ავათ. დიაკვნებს მოურიგდით როგორმე თავ-ფეხზე და გათავდება საქმე.

ნიკიფ (შეწუხებული) თუ შეიძლება. .

ვიქტ. ხომ გაიგონეთ, მამაო, რაც გითხარით.

ნიკიფ. (მიდის კარებისკენ) რაც იქნება იქნება (თავისთვის) თუ დაგვიბრუნდა ისევ ძველი დრო კარგი და თუ არა რას ვიზამთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ (თავს უკრავს და გადის)

სამს. (სიცილით) კაცო, რამ დააგიჟა ეს ხალხი, რომ ყველა აქ მოეხეტება, რა ნახეს ნეტა? დიაკვნები თავ-ფეხზე გვეჩხუბებიანო და აქ მოდის ჩვენთან. (იცინის)

ვიქტ. (სიცილით) საწყალი ხუცესი, ძალიან ყურ ჩამოყრილი კი არის! (ორივენი იცინიან. შემოდის ხეჩო კაპიკიანცი).

გამოსვლა მეექვსე.

იგინივე და ხეჩო კაპიკიანცი.

ხეჩო. (ქართულათ აცვია, ხელში დიდი, ჭრელი ხელსახოცი უჭირავს და ოფლს იწმენდს. ხვნეშით შემოდის და თავს უკრავს სამსონს და ვიქტორს) გამარჯობათ ბატონებო!

სამს. (თავისთვის) აი ბატონიც გაგიწყრა და ღმერთიც. ეხლა ეს დაიწყებს და აღარ გაათავებს.

ვიქტ. რა გნებავთ?

ხეჩო. (გაიხსნის ახალუხის ღილებს და უბიდან დაკეცილ გაზეთს ამოიღებს) აბა, მე რომ ამისთანა რამეს მიწერამთ არა ვრცხვენიათ? მეც ხომ ერთობის კაცი ვარ? ამას წინათ ერთი მოვიდა ჩემთან და ხუთი შაური მივეცი, იმას წინათ კიდევ წერილი მომწერეს, სიკვდილს დამემუქრენ და ოცდა ათი თუმანი კუკიის ხიდთან გავიტანე. ყველაფერში გეხმარებით და კიდევ ამას მიწერამთ? ეს სამართალია?

სამს. (სიცილით) აბა რა სწერია თქვენზე?

ხეჩო. ინჩე? რა სწერია? როგორ თუ რა სწერია. ხეჩო „ესფოლანთათორიაო,“ ხეჩო ბიჭებს დედამამას აგინებსო! ცუდათ ეპყრობაო...

სამს. რათ იქცევით მერე მაგრე?

ხეჩო. ბიჭოს! მაშ მე ჩემ ბიჭს დედ-მამა ვერ უნდა შევაგინო? მაშ მე ჩემ ბიჭს ვერ უნდა ვცემო? მაშ რის ხაზეინი ვარ.

ვიქ. თუ მაგრე იქცევით და აწი უფრო უარესს დაგიწერთ.

ხეჩო. ეს არის სამართალი?! მე ჩემ სიცოცხლეში ტკბილი ჩაი არ დამილევია სულ „პრიკუსკით“ ვსვამ და იმ დღეს ბიჭმა ორი კენჭი შაქარი ჩააგდო ჩაიში და ისე მიირთვა. გესმით ორი კენჭი შაქარი! ხუმრობა ხომ არ არის დილით ორი კენჭი, სადამოს ორი კენჭი ეს დღეში ოთხი კენჭი, კვირაში თოთხმეტი კენჭი. ეს ხომ დავიღუპე ამისთვის დედამამა არ უნდა შემეგინებია და არ მეცემა?! მაშ რა მექნა... (ამ დროს ქუჩაში სროლის ხმა და ხმაურობა მო-

ისმის. ხეჩოს ენა ჩაუარდება. ყველანი შეკრთებიან. შემოვარდება ტიტიკო.)

გამოსვლა მეშვიდე

იგინივე და ტიტიკო.

ტიტ. (შემოვარდება, ხირი დადებული აქვს, სულს ძლივს იბრუნებს, საშინლათ კანკალებს და ენა ვერ დაუძრავს შიშისაგან, ხელებს იქნევს) ეჰ!.. ეჰ!.. ეჰ!.. არიქათ!.. ეჰ!.. ეჰ!.. ეჰ!..

სამს. (წამოდგება) რა ამბავია ტიტიკო? (ხეჩო შეშინებული აქეთ იქით იხედება)

ვიქ. (წამოდგება) რა ამბავია კაცო სთქვი?

ტიტ. (ისევ ისე)... ეჰ! . ეჰ!.. არიქათ...

სამს. (მივა ახლოს და უყვირის) სთქვი შე ოჯახ დაქცეულო რა შეგეყარა?

ტიტ. (კანკალებს) ეჰ!.. ეჰ!.. ჩვენ ახლო ქუჩაში ბოქაულს ყუმბარა ესროლეს. საშინელი სროლა ასტყდა... რამდენიმე კაცი მოკლეს... ეხლა ჯარმა შეკრა ეს უბანი და ეჰ! ყველას იპერენ... ეჰ!.. არიქათ... გავიქცეთ აქედან... ეჰ!.. (მირბის კარებისკენ ვიქტორ და სამსონ ქუდებს ხელს დაავლებენ და აქეთ იქით კარებში გავარდებიან)

ხეჩო. (საშინლათ შეშინებული ხან ერთ კარებთან მივარდება და ხან მეორესთან, მაგრამ ვერ გაადებს. ყვირის) ვაიმე! ვაიმე! (მივა რედაქტორის მაგიდასთან დაეშვება სკამზე და თავში ხელებს წაიშენს) ვაი! ოლლო! ვაი! შვილებო! ვაი! ოჯახო! დავიღუპე! ეხლა კი მოვკვდი! სად ჩამოვარდი! სად ჩამოვარდი! (ტირის)

(ფარდა)

(შემდეგი იქნება)

ირეთელი.

რედაქციისაგან.

„ეშმაკის მათრახის 29 ნომერში მოთავსებული იყო ქ. ოზურგეთიდან პატარა წერილი „კუდ რაჯს“ ფსევდონიმით. წერილი ეხებოდა სავსებით ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ ბ-ნ გორგასლიძის მოქმედებას და სხვათა შორას ნათქვამი იყო, რომ ბ-ნმა გორგასლიძემ „რუს ინსპექტორის მიერ დაზოგვადი შვიდასი თუმანი ფული შეიმასჭნა“.

ამ შენიშვნაზე „ეშმ. მათრახის“ რედაქციამ მიიღო ბ-ნ გორგასლიძისაგან წერილი, რომლის შინაარსი შემოკლებით ასეთია:

„თქვენი ჟურნალის 4 მაისის ნომერში მოთავსებული კორესპონდენცია ყალბათ ასურათებს ჩემს მოღვაწეობას. სჩანს კორესპონდენტი ან შეცდომაში შეუყვანია იმ პირებს, რომლებსაც მე აშკარათ ვუშლი მოსწავლეთა გახრწნას, ან თითონ გათახსირებული კაცია და ასე თავისუფლათ ავარჯიშებს თავისს ავათმყოფ ფანტაზიას. (შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ გაუმჯობესა ბ-ნმა გორგასლიძემ სწავლა-აღზრდის საქმე ხსენებულ სასწავლებელში) მე ვმოქმედობ არა როგოგოც კაბინეტის მოღვაწე, არა ედ როგორც პეშმარიტი მშობელი, რომელსაც ახარებს ყოველი კარგი მოსწავლეთაგან და აწუხებს ყოველი ცუდი. ამით არ მსურს ვსთქვა თითქო ჩემს მოღვაწეობაში არ ყოფილიყოს რაიმე შეცდომა, რადგან ისეთ რთულ საქმეში, როგორიც სწავლა-აღზრდის საქმეა, შეუცდომლათ ძნელათ ვინმე გამოვიდეს. მე ვსთხოვ რედაქციას გამოაკლოს კორესპონდენტის მიერ წამოყენებული ბრალდება და თითონ გასწოროს თუ ეს შეცდომა აღმოჩნდ ბა, ან არა და გამომყვეს სამედიტორო სამართალში ბ-ნი კორეპონდ ენტი, ხოლო სამსჯავროს გ ხაჩენი გაზეთში გამოცხადდეს“.

ამაზე „ეშმაკის მათრახის“ რედაქციამ ბ-ნ გორგასლიძეს წინადადება მისცა: გამოეგზავნა რედაქციაში პედაგოგიური საბჭოს მიერ კოლექტიური წერილი ამ „ინციდენტის“ შესახებ და აღუთქვა მისი უცვლელათ დაბეჭდვა. ბ-ნმა გორგასლიძემ ეს გზა მოუხერხებლად სცნო. ამის შემდეგ რედაქციამ კიდევ მოახდინა რამოდენიმე შეკითხვა და შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

1) ოზურგეთელი კორესპონდენტის წერილში სიტყვა „შეიმასჭნა“ 7000 მანეთის შესახებ უსაბუთოთ და უსამართლოთ არის ნახმარი. სათანადო დავთრებში, აღნიშნული ფულის შესახებ, ყველაფერი რიგზეა ჩაწერილი.

2) აგრეთვე მთელი აღწერილობა ინსპექტორი ბ-ნი გორგასლიძის მოღვაწეობისა გადაჭარბებულია შეუსაბამო კილოს მიზეზით, რის გამო რედაქცია მწუხარებას აცხადებს და თანაც დასძენს,

1) რომ სანდო პირთა განცხადებით ნაწილი აღნიშნული 7000 მანეთისა არ დახარჯულა იმ გზით და იმათი თანხმობით ვისიც შეკითხვა ამ შემთხვევაში საჭირო იყო,

2) და არ დახარჯულა აგრეთვე იმ მიუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ, რისთვისაც ეს თანხა უნდა იხარჯებოდეს.

დასასრულ „ეშმ. მათრახის“ რედაქცია იმედოვნებს, რომ ბ-ნი ინსპექტორი დაკმაყოფილდება მისი განცხადებით და კამათს ბოლო მოეღება.

მაღარუს მუშა.

ჩავტეტრიეარ შავ მაღაროს
და მთელი დღე ოფლში ვცურავ,
რომ სიმშილი არ გამიწყალეს:
ცოლი, შვილი, მამითვის ვზრუნავ
ალიონზე ვდგები დილით,
მივალ მარად მაღაროში.
დღე და ღამე ბნელი მხოლოდ.
წიალ მე მხვდა, სამუაროში,
თვალებს მიწვავს ჭრაქის ბუუტვა
კვამლით ხრჩოლავს ირგვლივ ხვრელი,
წელი, კალის მზეს ვერ ვნახე
მენატრება ცის ნათელი.
მე ვშრომობ და სხვა კი ძღება,
ჩემის ოფლით და ნაშრომით
ჩემს ნაწვავს და ნასისხლარზე
განისვენებს ის, განცხრომით.
ლუკმისათვის ვიტანჯები
და ეოველ წამს სიფრთხე მელის,
არ ჩამოწვეს, ქვეშ არ მოვეგე
შიშისაგან გული ძგერის.

თუმცა ვიცი ჩემი ბოლო,
აქ ტანჯვაა, და სიკვდილი
მაგრამ რას ვიქ, კარზე მიდგას
გაჭირვება და სიმშილი.

„ზარბაზანი“

პასუხები.

„ეშმაკის მათრახში“ ჩემ მიერ მოთავსებულ კორესპონდენციაში სოფ. ჯიხაიშიდან, სადაც მე ვეხებოდი ნუნუათი გალეშილს პირებს: რაჟდენს, იოსებს და რაფიელს; თუმცა ამ სოფელში ბევრნი არიან იოსები და რაჟდენები, მაგრამ სასიხარულოა ის, რომ ამ დალოცვილებს უცვნიათ თავიანთი თავი „ეშმ. მათრ.“ როგორც სარკეში. სასიამოვნო მოვლენაა! მე სიამოვნებით გავყვები სამედიატორო სამართალში, მხოლოდ შემდეგის პირობით: გამტყუნებულმა მხარემ გადაიხადოს „ეშმაკის მათრახის“ რედაქციის სასარგებლოთ 25 მ. და ყველა ხარჯები იკისროს. „ჩორთიკა“.

—

პლატონ წილყვავა მიწვევს სამედიატორო სამართალში. მე ყოველთვის მზადა ვარ გავყვე სამედიატორო სამართალში, რომ ამით უფრო ნათლათ დავანახო საზოგადოებას ბ. პლატონის მოქმედება. წინადადებას ვაძლევ პლატონს დაასახელოს მედიატორეებათ საიმედო პირები.

„ბრატიშკა“

—

მადლობას გიძღვნი ამხ. ეშმაკო გრიგოლ მიროტაძის და მის ამკოლ-დამყოლების შეხურებისათვის. დღეს შენი მათრახით შეფუცხუნებულნი სამედიატორო სამართალში მიწვეკენ. ამ ერთი თვის წინათ ყოველი ზომები მივიღე რომ გამომყოლოდენ—სამედიატორო სასამართლოში, მაგრამ ეს ვაუბატონები სიმართლეს ემალებოდენ—მხოლოთ სამდურავს გითვლი იმაზე, რომ მათი პატრიარხი კოტე მიროტაძე—ყურსაც არ აპარტყუნებს—მე დღესაც მზათ ვარ გავყვე აღნიშნულ პირებს სამედიატორო სამართალში და დავუმტკიცო ჩემი ბრალდება.

იქიდანვე.

—

ნიპოლიტ კაკაურიძე სამედიატორო სამართალში მიწვევს. დიდის სიამოვნებით ვთანხმდები. მოწმეებათ ვაახელებ ს. დოლიძეს, კონდუქტორს ასათიანს და პროვოდნიკ ბახტაძეს. ვთხოვ დანიშნოს დღე და ბინა და აცნობოს ვინმე ჩემს მოწმეთაგანს. მედიატორეს ჩემის მხრით მე მოვიყვან ერთ კაცს. ერთიც ბ. კაკაურიძემ უნდა მოიყვანოს.

ვ. კ.—ძე

—

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! ეშმაკის მათრახის № 35 მოთავსებულია ჩვენ შენახებ წერილი, რომელშიაც კორესპონდენტი „დემონი“ აუწყებს საზოგადოებას, რომ ვითომც ჩვენ საჯავახოდან ჩოხატაურში გაზეთების წამოღებაზე ვარს ვამბობდეთ, ეს სიმართლეს მოკლებულია, საზოგადოებამ კარგათ იცის, რომ ჩვენ ყოველ დღიურად დაგვაქვს ჟურნალ-გაზეთები. ამის დასამტკიცებლათ შეგვიძლია დავასახელოთ ჩოხატაურის ჟურნალ-გაზეთების აგენტი ნ. მეგრელიშვილი. გასაკვირველია რ ოთ დასჭირდა კორესპონდენტს ასეთი ცილის წამება.

ჩოხატაურის მეეტლეების მონდობილობით
მიხეილ მოსიძე.

—

თქვენს იუმორისტულ ჟურნალის № 35-ში გლეხის ს. პ. მოუთავსებია წერილი ჩემ მოღვაწეობის შესახებ დიდ-ჯიხაიშის საზოგადო ქსენონში, უკანტროლობაზე და სხვ. . წერილის შინაარსის ულოდიკობის, სიყალბის, უსამართლობის, დასამტკიცებლათ და სრული ჭეშმარიტების აღსადგენათ საჭიროთ ვრაცხ დავეკითხოთ საზოგ-დოებისგან არჩეულს ძველს და ახალს ზედამხედველ კომიტეტს.

ვ. ლორთქიფანიძე.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ ჟურნალში ადგილი დაუთმოთ ორიოდე სტრიქონს. ფოთში სოკოსავით გამრავლდენ თქვენი კორესპონდენტები და გზავნიან თქვენ ჟურნალში წერილებს; მათი უმრავლესობა არ იბეჭდება, მაგრამ რომლებიც დაიბეჭდა, იმათ ავტორობას მე მაბრალებენ. საქმე იმაშია, რომ აქ დამყარებულა ასეთი შეხედულობა, ვითომ თუ ერთხელ რამე დაწერა კაცმა, ყველაზე და ყოველთვის ის უნდა წერდესო. ვაცხადებ ფოთელთა საყურადღებოთ, რომ ის წერილები, რომელზედაც „სტოლი“, მერცხალი, შკაფი და სხვა ამისთანა აწერია მე არ მეკუთვნიან, მე ვაწერ, „ვოლდემარს“ და ტყვილათ ნუ მლანძღავენ*)

დავშთები თქვენი ვოლდემარ.

———————

*) სტოლი და ვოლდემარი რომ სხვა და სხვაა ეს კი უნდა გაერჩია პატივცემულ ფოთის მოქალაქეებს.

—

ბ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“-ს შემწეობით შევეკითხო ბ-ნ „ნაცნობს“ რომელი მამა გიორგი სოხაძე ყავს სახეში თავის წერილში („ეშმ. მათ.“ № 19) მიელ ჩვენ საზოგადოებას ასე ჭგონია ეს გიორგი სოხაძე მევიყო. ამისთვის ვსთხოვ ბ-ნ ნაცნობს ამცნოს საზოგადოებას თქვენი ჟურნალის მეოხებით რომელი გიორგი სოხაძე ყავს სახეში.

მღ. გიორგი სოხაძე.

—

ბ. რედაქტორო! გაზ. „ეშმ. მათრ.“-ს 33 ნომერში მოთავსებული იყო „ტასოს“ მიერ ხელ-მოწერილი წერილი ხონის მარინეს საქალებო სასწავლებლის უფროსის ქალის ანნა სპირიდონის ასულის და უფ. სალავიოვის შესახებ, რომლის შინაარსი სრულიად მოკლებულია ყოველივე სიმართლეს. უმორჩილესად გთხოვთ ბ. რედაქტორო გამოაქვეყნოთ, რომ კორესპონდენტი ურცხვთ სტყუის *) და მასთან ურჩიოთ შემდეგისთვის მოგაწოდოთ უფრო საფუძვლიანი მასალა:

ხონის მარინეს სასწავლებლის მასწავლებელნი: ს. დ. ბახტაძე, ე. ჩხეიძე, ს. ნიჟარაძე, ა. თარგამაძე, ა. ჩხენკელი, მ. ბ. კაკბაძე, მ. ი. რუხაძე.

———————

*) ამ კოლექტიური წერილის შესახებ რედაქციამ მოახდინა რამოდენიმე სანდო პირთან შეკითხვა და ყოველი მხრიდან პასუხათ მიიღო, რომ კორესპონდენცია არ არის არც ტყუილი და არც გადაჭარბებულიო.



„შინაურ საქმეთა“ რედაქცია. (ქუდაისში)

წმინდა სვიმონ რედაქტორსა,
„შინაური საქმის“ მთვარეს
ნასაკუთხი ცხვარის კანჭი
სტოლზე დარჩა გულ მწუხარეს.



იგივე

შეძვრა კატა სარკმელიდან
ის მსუნაგი ქურდ-ბაცაცა
სახლი სახლათ აუქოთა
და ცხვრის კანჭიც გაიტაცა.

გამოცანა.

(ხონისათვის)

თავი უგავს ყურძნის გიდელს
ზედ არა აქვს ბალნის ფესვი,
როგორც ნახავთ იმ წამს იტყვით:
„აი მაღლაკელი ნესვი“.
ექიმია ჯანაოზი,
ექავება გრძელი ენა,
მოძრაობის ბელადები
ჰკითხეთ ვინ არ შეაჩვენა.
თავის თავი, მას რომ ჰკითხოთ,
მემარცხნეთაც ეგულვება,
თუმც კი დღემდის ვერ გაუგეს
აზრი და მიმართულება
ხან ესერობს, ხან ესფერობს,
ხან მხოლოდ დემოკრატია,
თუმც ერთ დროს მოხირ დევიცკი
მიაჩნდა, როგორც ხატია.
სემნარისტების გაფიცვა*)
მას სიცილად არ ყოფნიდა,
თავის ენას დაგრძელებულს
მეტყველობით მათზე წრთვნიდა.
ახლაც ის ვაჟბატონია
არ შეცვლილა იგი სხვაზე,
და ტყვილა ნუღარ უჯერით
როცა მღერის ახალ ხმაზე.

მალი.

*) 1901 წ.

რედაქტორ-გამომცემელი
თ. ე. ბოლქვაძე.

ამიტო